იმარჯვებს საბჭოთა მეცნიერება!

მთელმა მსოფლიომ შეიტყო, რომ საპლანეტათშორისო სადგური „ვენერა-5“, რომელმაც 130 დღეში 350 მილიონი კმ დაფარა, 16 მაისს წარმატებით დაეშვა პლანეტა ვენერას ატმოსფეროში.

სადგურმა ვენერაზე მიიტანა ვიმპელი ვ. ი. ლენინის ბარელიეფით და სსრ კავშირის სახელმწიფო გერბით.

და აი, 17 მაისს, მრავალი თვის ფრენა დედამიწა—ვენერას ტრასით წარმატებით დაამთავრა ავტომატურმა საპლანეტათშორისო სადგურმა „ვენერა-6“-მა.

სადგური პლანეტის ატმოსფეროში შევიდა დაახლოებით 300 კილომეტრის დაშორებით იმ ადგილიდან, სადაც შევიდა სადგური „ვენერა-5“.

სადგურმა „ვენერა-6“-მა, ისევე, როგორც „ვენერა-5“-მა, პლანეტაზე მიიტანა ვიმპელები ვ. ი. ლენინის ბარელიეფითა და სსრ კავშირის სახელმწიფო გერბით.

ეს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის კიდევ ერთი დიდი გამარჯვებაა. ავტომატური სადგურების „ვენერა-5“-ისა და „ვენერა-6“-ის შექმნა და წარმატებით ფრენა კიდევ ერთხელ ცხადყოფს საბჭოთა კოსმოსური მეცნიერებისა და ტექნიკის უმაღლეს დონეს, ადასტურებს მეცნიერთა და კონსტრუქტორთა მაღალნიჭიერებას. ეს ახალი თვალსაჩინო მიღწევა კიდევ ერთი დადასტურებაა საბჭოთა ხალხის ღირსეული წვლილისა კოსმოსური სივრცის ათვისებაში.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 95 (3834)
1969 წ.
18 მაისი.
კვირა.
ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

ჩვენს ძმა რესპუბლიკებში

◆ სახალხო გმირის პრიზზე

ალმა-ათა, 15 მაისი. ქვეყნის უძლიერეს ხუთჭიდელებს, რომლებმაც პირველად მოიყარეს თავი ამანგელდ იმანოვის სახელობის პრიზის გათამაშებაზე, ამიერიდან ბევრი რამ ეცოდინებათ სამოქალაქო ომის გმირზე. კინოსტუდიაში მათ ნახეს ყაზახი ხალხის რჩეული შვილისადმი მიძღვნილი ფილმი, მოისმინეს იმანოვის როლის შემსრულებლის ე. უმურზაკოვის გამოსვლა. შემდეგ, როცა ცოცხალი ყვავილები მიიტანეს იმანოვის ძეგლთან, მათ წინაშე სიტყვით გამოვიდნენ სამი რევოლუციის მონაწილე ი. დევვი და გმირის ვაჟი შარიპი.

შეჯიბრება ფარიკაობით დაიწყო. გუშინ ორთაბრძოლებმა 9 საათზე მეტს გასტანა. ყველას აჯობა ყაზახეთის ხუთჭიდელთა ვეტერანმა ვ. სვატენკომ (33 გამარჯვება 42 შეხვედრაში, 1108 ქულა). სამი გამარჯვებით ნაკლები აქვს ქვეყნის ნაკრების წევრს ა. სოკოლოვს („დინამო“) — 1026. ამდენივე ქულა მოაგროვა ყაზახეთის მეორე გუნდის წარმომადგენელმა ვ. ბიკოვმა. ვ. ბელოვმა (სსრ კავშირის ნაკრები) 28 მოგებით IV ადგილი დაიკავა.

პირველი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში ლიდერობა ხელთ იგდო ყაზახეთის ნაკრებმა. (საქტაგი).

◆ „საპირველმაისო“

სოფ. ალიბეგლოს სტადიონზე შედგა ფინალური მატჩი ფეხბურთში ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობის პრიზზე — „საპირველმაისო“ (კოლმეურნეობა აერთიანებს ორ ქართულ და ერთ აზერბაიჯანულ სოფელს).

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ალიბეგლოსა და ქოთოქლოს ფეხბურთელები. მატჩი მოიგო ალიბეგლოს გუნდმა (3:1), რომელიც პრიზის მფლობელი გახდა.

ი. ჭაჭაშვილი.
(ჩვენი კორ.).

კახი,
აზერბაიჯანის სსრ.

22-ე შესწორება

დონის როსტოვი, 16 მაისი. ძალოსანთა საკავშირო ჩემპიონატში დღეს მედლების კიდევ ორი კომპლექტი დარიგდა. ჯერ ფიცარნაგზე გამოვიდნენ ქვესაშუალო წონის წარმომადგენლები. სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მეექვსედ მოიპოვა 28 წლის მოსკოველმა ვ. კურენცოვმა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა სამჭიდში შესანიშნავი შედეგი — 472,5 კგ აჩვენა, თანაც, სპორტის მოყვარულები ორი რეკორდით გაახარა: დამატებით ცდაზე მან ჯერ მსოფლიო რეკორდი დაამყარა აჭიმვაში (161,5 კგ), მერე კი — საკავშირო რეკორდი ატაცში (142,5 კგ). საინტერესოა, რომ კურენცოვმა 22-ედ შეიტანა შესწორება მსოფლიო რეკორდების ცხრილში, ამასთან თავისებური რეკორდიც დაამყარა: ცალკეულ მოძრაობებში ოქროს სამივე მედალი მოიხვეჭა. სამჭიდში II ადგილზე გავიდა ევროპის ვიცე-ჩემპიონი, ლენინგრადელი ე. სმირნოვი — 442.5 კგ. ბრინჯაო წილად ხვდა ოდესელ ა. ოპრიშკოს — 435 კგ.

სიურპრიზებით აღინიშნა საშუალო წონის ძალოსანთა შეჯიბრება. ვერც მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ვ. ბელიაევმა (კიევი) და ვერც მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა ბ. სელიცკიმ (ლენინგრადი) ოქრო ვერ მოიხვეჭეს. უფრო მეტიც, ლენინგრადელი პრიზიორებს მიღმა დარჩა — მხოლოდ V ადგილი დაიკავა (460 კგ). გაიმარჯვა პერვოურალსკელმა ვ. კოლოტოვმა — 470 კგ. II ადგილზეა ვ. ბელიაევი — 467,5 კგ, ხოლო III — ა. გოლუბოვიჩი (მინსკი) — 465 კგ.

ცისფერ მაისურებში

საბჭოთა ნაკრები — რბოლის ლიდერი

ვროცლავი, 16 მაისი. პოლონეთის ამ ქალაქის ოლიმპიურ სტადიონზე ყველაზე ადრე დაამთავრა მშვიდობის XXII ველორბოლის VI ეტაპი გდრ-ის წარმომადგენელმა დ. გონშორეკმა. 253-კილომეტრიან ტრასაზე მისი დრო 6:17.12 (საპრემიო წუთის ჩათვლით).

ველორბოლის ტრასამ ვროცლავზე 5 წლის შემდეგ გაიარა და აი, ვროცლაველები მოუთმენლად და იმედით ელოდნენ თავიანთი თანაქალაქელის გამოჩენას. ამ მოლოდინს საფუძველიც ჰქონდა: რბოლაში შესანიშნავად გამოიჩინა თავი პოლონეთის ნაკრების დებიუტანტმა, 23 წლის რ. შურკოვსკიმ. ამჯერად ფინიშთან იგი მესამე იყო (6:17.57), მაგრამ ამ III ადგილმა 6 ეტაპის ჯამში ლიდერად დააწინაურა.

II ადგილი დაიკავა პოლონელმა ზ. ჩეხოვსკიმ — 6:17.42.

პრიზიორთა სამეული 11-კაციან გუნდთან ერთად მიიჭრა ფინიშთან. მოწინავენი მდევრებს 7 წუთითა და 55 წამით გაექცნენ. „გაქცეულთა“ შორის სამი საბჭოთა მრბოლელი იყო: ი. დმიტრიევი, გ. საიდხუჟინი და ვ. სოკოლოვი. ყველას ერთნაირი დრო აქვს — 6:18.12.

მდევართა ჯგუფიდან ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა ლენინგრადელმა ვ. ნელიუბინმა.

საბჭოთა სპორტსმენების თავგამოდებულმა ბრძოლამ სასურველი ნაყოფი გამოიღო: გუნდურ ჩათვლაში ლიდერობა სსრ კავშირის ნაკრებმა იგდო ხელთ. ამრიგად, VII ეტაპის (ვროცლავი — პოზნანი, 203 კმ) სტარტს საბჭოთა მრბოლელები ცისფერ მაისურებში აიღებენ. მხოლოდ ი. დმიტრიევი და გ. საიდხუჟინი ჩაიცვამენ სხვა ფერის მაისურებს: პირველი, როგორც შეჯიბრების ყველაზე აქტიური მრბოლელი — იისფერს, მეორე კი, როგორც სამთო გზებზე (ამ ეტაპის ნახევარი — 112 კმ—მთებში გადიოდა) გამარჯვებული — ვარდისფერს.

საერთაშორისო საათი

◆ **ყაზანი, 17 მაისი.** გუშინ, აკრობატთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე დღეს, გათამაშდა მედლები ბატუტზე მოხტუნავე ქალთა შორის. ოქრო მოიხვეჭა დნეპროპეტროვსკელმა ნ. კოვშოვამ („ბურევესტნიკი“). II ადგილზეა ორენბურგელი ლ. ზარჩიკოვა („ბურევესტნიკი“), III — მოსკოველი ლ. ლავროვა („შრომითი რეზერვები“).

◆ მოსკოვი, 17 მაისი. სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრები გუშინ კვლავ შეხვდა იტალიის გუნდს და ისევ გაიმარჯვა, ამჯერად, ანგარიშით 3:2. მასპინძელთაგან გოლები გაიტანეს დრევალმა, სკოკმა და ოსიპოვმა, სტუმართაგან — ავერსამ და ფერნანდომ. სსრ კავშირისა და იტალიის ნაკრები გუნდების მესამე შეხვედრა გაიმართება მინსკში, სადაც სტუმრები ბელორუსიის ნაკრებსაც ეთამაშებიან.

◆ მალმე, 17 მაისი. შვედმა ძალოსანმა რ. ბრუხმა, რომელიც 120 კილოგრამს იწონის, სამი დღის განმავლობაში მეორედ გააუმჯობესა თავისი ქვეყნის რეკორდი ბირთვის კვრაში. — 19,40 მ. ამავე შეჯიბრებაში მან ბადროს ტყორცნაშიც მიაღწია წარმატებას — 62,38 მ. ეს შვეციისა და სკანდინავიის ახალი რეკორდია და წლეულს საუკეთესო შედეგია მსოფლიოს სტადიონებზე.

◆ ლოძი, 17 მაისი. აქ გამართულ მძლეოსნურ შეჯიბრებაში პოლონეთის რეკორდსმენმა დ. იავორსკამ **55,50** მეტრზე ტყორცნა შუბი, რაც საუკეთესო შედეგია წლეულს მსოფლიოში. **5000** მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ინგლისელმა ბ. გრეჰემმა — **13.52,8.**

◆ **ლანდსკრუნა** (შვეცია), **17 მაისი.** აქ დაიწყო ტანმოვარჯიშე ქალთა ევროპული ჩემპიონატი. პროგრამის სამი სახეობის შემდეგ ლიდერობენ ო. კარასიოვა (სსრ კავშირი) და კ. იანსი (გდრ).

სხვა ქვეყნები

● **იოკოჰამა,** 16 მაისი. **ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონმა— სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა თავისი იაპონური ტურნე აქ გამარჯვებით დაიწყო. სტუმრებმა ანგარიშით 3:2 (15:12, 12:15, 12:15, 15:7, 15:10) დაამარცხეს ადგილობრივი უნივერსიტეტის გუნდი, რომლის ღირსებასაც ქვეყნის ნაკრების რამდენიმე წევრი იცავდა. სულ საბჭოთა გუნდი შვიდ შეხვედრას გამართავს იაპონიის საკლუბო და ნაკრებ გუნდებთან. სსრ კავშირის ქალთა ნაკრებიც შვიდ მატჩში იასპარეზებს „ამომავალი მზის ქვეყანაში“.**

მოკლედ

მოსკოვში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი). თამაში დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით — 1:0. ბურთი 62-ე წუთზე გაიტანა ფიგუნოვმა.

* * *

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი: ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ბურევესტნიკი“ და ცსკა. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 84:76 (46:46).

* * *

თბილისის „სპარტაკის“ აუზში დაიწყო „სოვეტსკი სპორტის“ პრიზის — „მხიარული დელფინის“ III ეტაპი. 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ი. ზოტოვამ (მწვრთნელი მ. ტატიშვილი) ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა—2.30,8. ეს მისსავე ძველ რეკორდს 1 წამით სჯობს.

* * *

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა საქართველოსა და გდრ-ის მოფარიკავეთა პირადი შეჯიბრება დაშნასა და რაპირაში. დაშნით მოასპარეზეთა შორის ყველას აჯობა ჰ. ფიდლერმა (გდრ). II ადგილზეა ი. აკოფოვი, III — ხ. მელციგი (გდრ). რაპირისტთა შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: I. ფ. რამკე (გდრ), II. ა. ბობოხიძე, III. ჰ. ფაიფერი (გდრ).

პეტროსიანი
სპასკი

მეცამეტე პარტია

ბ. სპასკი — ტ. პეტროსიანი

რუსული პარტია

1. e4 e5 2. მf3 მf6 3. მ:e5 d6 4. მf3 მ:e4 5. ლe2 ლe7 6. d3 მf6 7. კg5 ლ:e2+ 8. კ:e2 კe7 9. მc3 c6 10. 0—0—0 მa6 11. მe4 მ:e4 12. de მc5 13. ეhe1 კ:g5+ 14. მ:g5 მფe7 15. მf3 ეd8 16. მd4 g6 17. კf1 მფf8 18. b4 მe6 19. მb3 b6 20. ეe3 კb7 21. a3 ეd7 22. g3 ეe8 23. h4 ეdd8 24. კc4 მc7 25. ეde1 ეe7 ყაიმი.

* * *

ამ პარტიით დაიწყო მატჩის მეორე ნახევარი. უკვე პირველივე სვლებზე მეტოქეებმა ერთმანეთს სიურპრიზები შესთავაზეს: სპასკიმ თეთრების მეფის პაიკი გასწია (რაც მატჩის III პარტიის შემდეგ არ გამოუყენებია), პეტროსიანმა კი უფრო უცნაური პასუხი გასცა — რუსულ პარტიას მიმართა, რასაც მის პრაქტიკაში იშვიათად ნახავთ.

როგორც ჩანს, სპასკი არ მოელოდა მეტოქის ასეთ არჩევანს და თავი აარიდა გავრცელებულ ვარიანტებს. უკვე მე-7 სვლაზე გაიცვალა ლაზიერები და პრეტენდენტმა მიიღო პატარა პოზიციური უპირატესობა. დაფაზე შეიქმნა ისეთი პოზიცია, როცა მოგების რეალური ბილიკები იოლი მოსაძებნი როდი იყო, თანაც, მსოფლიო ჩემპიონი ზუსტად იცავდა თავს. სპასკი დარწმუნდა, რომ გამარჯვებისთვის საბრძოლველად არავითარი რეალური საფუძველი არ არსებობდა და 26-ე სვლაზე მსოფლიო ჩემპიონს ყაიმი შესთავაზა. პეტროსიანი დათანხმდა.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 6,5:6,5. XIV პარტია გაიმართება 19 მაისს.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
მოსკოვი.

[illegible]

ნაბიჯი... უკან

ოსტენდე, 16 მაისი. ბელგიის ამ ზღვისპირა ქალაქში საბჭოთა კავშირის ძიუდოისტთა ნაკრებმა მხოლოდ III ადგილი დაიკავა — ევროპის ჩემპიონატის გუნდურ ჩათვლაში ერთწლიანი „შესვენების“ შემდეგ გამარჯვეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ათლეტებმა. ფინალში მათ მწვავე შერკინების შემდეგ აჯობეს ჰოლანდიელებს — 3:2.

პირველობისთვის თორმეტი ქვეყნის ნაკრები გუნდები იბრძოდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, უმთავრესი ბრძოლა ჰოლანდიის, საფრანგეთის, სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენთა შორის გაჩაღდა. საბჭოთა მოჭიდავეებმა დაამარცხეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები (4:1), მაგრამ მარცხის სიმწარე იწვნიეს ჰოლანდიელებთან — 2:3. შემდგომ საბჭოთა ძიუდოისტებმა დამამშვიდებელ შეხვედრაში სძლიეს ინგლისელებს (4:1) და ამის წყალობით ნახევარფინალში გავიდნენ. აქ მათ ისევ მარცხი ელოდათ: ამჯერად, გფრ-ის ნაკრებთან — 2:3.

სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელიც მეორედ მონაწილეობს კონტინენტის ჩემპიონატში, გადადგა ნაბიჯი... უკან: შარშან იგი მეორე იყო, მანამდე კი ოთხჯერ მოიხვეჭა ევროპის ჩემპიონის წოდება.

მოსკოვში ნონა გაფრინდაშვილს არ მოჰკლებია ქართველი გულშემატკივრების ყურადღება. იგი ყოველდღე უამრავ ბარათსა და დეპეშას იღებდა საქართველოდან. განსაკუთრებით ბევრი მილოცვა მიუვიდა ნონას 3 მაისს, როცა 28 წელი შეუსრულდა. მარცხენა სურათზე: მსოფლიო ჩემპიონი ათვალიერებს მისალოც დეპეშებს. აქვეა მოჭადრაკე თამარ გიორგაძე, რომელიც ჩემპიონის სტუმარი იყო მისი დაბადების დღეს.

მარჯვენა სურათზე თქვენ ხედავთ მსოფლიო ჩემპიონს თავის სეკუნდანტთან, საერთაშორისო ოსტატ ი. ნეისთან ერთად მოსკოვის გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

დეპეშები, წერილები, ლექსები...

ჩვენი რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან რედაქციას უამრავი დეპეშა, წერილი და ლექსი მოსდის. მათი ავტორები სიხარულს გამოთქვამენ ნონა გაფრინდაშვილის ბრწყინვალე გამარჯვების გამო.

გორელ მედიცინის მუშაკთა სახელით ნ. გაფრინდაშვილისთვის გადასაცემად **ვ. კაპრაძემ** გამოგვიგზავნა დეპეშა: „ჩვენს სახელოვან ჭადრაკის დედოფალს გილოცავთ მსოფლიო ჩემპიონობის შენარჩუნებას. ჩვენ ყოველთვის თქვენს გვერდით ვიყავით და გვჯეროდა გამარჯვებისა“.

ლექსები მივიღეთ **ნ. ჯლამაძისგან** (ცხაკაიას რაიონი, სოფ. გეჯეთი), **ლ. ნიკოლაძისგან** (ტყიბული), **ნ. ტოროტაძისგან** (თბილისი), **ლ. ბეგიაშვილისგან** (სიღნაღი), **ტ. ჯოგლიძისგან** (თბილისი).

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც ჩემპიონს გამარჯვება მიულოცა.

ინტერვიუ ბორბლებზე

ჩვენს საუბარს პირობითად თუ უწოდებენ ინტერვიუს, რადგან ცნობილ ბულგარელ დიდოსტატს მილკო ბობოცოვს ალბათ აზრადაც არ მოსვლია, რომ მეგობრული ბაასი ცენტრალური ტელევიზიის მანქანაში ოდესმე გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდებოდა.

ეს ამბავი შარშან მოხდა მოსკოვში. კაცმა რომ თქვას, მისი აღწერა ფიქრადაც არ მომივიდოდა, მაგრამ ახლა, როცა აგვაფორიაქა გაფრინდაშვილ — კუშნირის მატჩმა მსოფლიო პირველობაზე, ყველა რამდენადმე გამოჩენილი მოჭადრაკის აზრი ნონასა და, საერთოდ, მატჩის შესახებ განსაკუთრებულ ინტერესს იძენს. ალბათ ამან გამახსენა ეს უჩვეულო ინტერვიუ.

მოსკოვში ქართული კულტურის დღეები იყო. ტელევიზიამ ამასთან დაკავშირებით რამდენიმე გადაცემა მოაწყო. სწორედ ერთ-ერთი გადაცემა მთავრდებოდა, როცა სტუდიაში ფეხაკრეფით შემოვიდნენ საკავშირო რადიოს კომენტატორი ნ. დიმარსკი და დიდოსტატი მ. ბობოცოვი. ისინი ჩვენს შემდეგ უნდა გამოსულიყვნენ. სწორედ მაშინ მოსკოვში დიდი საერთაშორისო ტურნირი ტარდებოდა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა მონაწილეობით. ტურნირი დასასრულს უახლოვდებოდა და ყველასთვის მოულოდნელად, პირველი ადგილის ერთ-ერთი უმთავრესი პრეტენდენტი ბობოცოვი იყო.

ბობოცოვი თავისთავად ძლიერი დიდოსტატია და მის ამგვარ წარმატებაში თითქოს გასაკვირი არაფერი უნდა ყოფილიყო. მაგრამ საკმარისია გავიხსენოთ ტურნირის შემადგენლობა — პეტროსიანი, ტალი, სპასკი, სმისლოვი, შტეინი, გელერი, გლიგორიჩი, ნაიდორფი, პორტი, და ამ გაკვირვების მიზეზი ნათელი გახდება.

... გადაცემის დამთავრების შემდეგ ტელესტუდიიდან სასტუმრომდე ერთად ვიმგზავრეთ და ჩემი ინტერვიუ ბობოცოვთან ბორბლებზე შედგა იმ ნახევარი საათის მანძილზე, მანქანას რომ დასჭირდა, ვიდრე სასტუმრო „მოსკვას“ სადარბაზო შესასვლელთან გაჩერდებოდა.

— ამ ათიოდე წლის წინ ბულგარეთში გამართულ ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირში I-III ადგილები სამმა, მაშინ ახალგაზრდა ოსტატებმა გაიყვეს, — დაიწყო დიდოსტატმა. — ესენი იყვნენ ბუხუტი გურგენიძე, რუმინელი რადოვიჩი და ბულგარელი მილკო ბობოცოვი. ჩვენ მაშინ დავმეგობრდით და ახლაც ერთმანეთის დიდი პატივისცემა და სიყვარული გვაკავშირებს. მეც არაერთხელ მიმიღია მონაწილეობა შავი ზღვისპირეთის საერთაშორისო ტურნირებში — შარშან, შარშანწინ... ასე რომ, ქართველებს კარგად ვიცნობ. ყოველთვის გავარჩევ ქართველს არაქართველისგან, თუნდაც, გამოთქმით. მაგალითად, მოვკარი თუ არა ყური თქვენს ლაპარაკს ტელეგადაცემის დროს, დიმარსკის ვუთხარი, ნამდვილად ქართველია-მეთქი.

თავად ბობოცოვი საკმაოდ კარგად ლაპარაკობს რუსულად და, ცხადია, ჩვენს საუბარს მთარგმნელიც არ დასჭირვებია.

— ბუხუტის ჩემგან მოკითხვა გადაეცით და უთხარით, რომ იგი დიდი ხანია დიდოსტატის ძალით თამაშობს, — მითხრა ბობოცოვმა. — ახლა ეს მითხარით, რასა იქმს ნონა, ჩემი სიმპატია და მსოფლიოს ყველა დროის უდიდესი მოჭადრაკე ქალი?

— რატომ ასე კატეგორიულად? — მორიდებით შევედავე. — ვერა მენჩიკი?

— მე მიმაჩნია, რომ ნონა მენჩიკზე ძლიერია.

— სასიამოვნოა ამის მოსმენა, მაგრამ მოგეხსენებათ, ყველა ასე როდი ფიქრობს. მაგალითად, ბოტვინიკი. მახსოვს, ერთხელ ქართველ გულშემატკივრებთან შეხვედრის დროს მან პირდაპირ განაცხადა: ნონას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ იგი მენჩიკზე სუსტად თამაშობსო.

ბობოცოვს გაეღიმა.

— განა ვერ ხვდებით, რატომ თქვა ასე?

— ვერა.

— ნონა ყველა თავის გამოსვლაში ხმამაღლა აცხადებდა, რომ მისი საჭადრაკო იდეალი ტალია. როგორ ფიქრობთ, ამას „რევანში“ არ სჭირდებოდა?

— მენჩიკის სპორტულ ბიოგრაფიას ამშვენებს ბრწყინვალე გამარჯვებები ეივესთან, რეშევსკისთან და სხვა გამოჩენილ მოჭადრაკეებთან. ნონას კი ჯერჯერობით...

— არ მიყვარს ასეთი უსწორო შედარებები. საქმე ისაა, სად ხვდები ამა თუ იმ მოჭადრაკეს, რა სიტუაციაში, რომელ ტურნირში. განა ნონას პარტიები გელერთან, ოლაფსონთან, გლიგორიჩთან, ან ბრწყინვალე ყაიმი ჰასტინგსში კერესთან, როცა კერესისთვის გამარჯვება აუცილებელი იყო და იგი ორი დღის მანძილზე თავგამოდებით უტევდა ნონას პოზიციას, განა ეს პარტიები ნაკლებია სადღაც საკურორტო ქალაქებში, მეგობრულ ვითარებაში ჩატარებულ შეხვედრებზე? არა მგონია. მე დაგისახელებთ 25 საერთაშორისო ოსტატ კაცს, რომელთაც ნონა დაამარცხებს, სულ ცოტა, 5-6 საერთაშორისო დიდოსტატს, ვინც ნონას ტურნირსა თუ მატჩში ვერ დაამარცხებს.

— თქვენი მსჯელობა სასიამოვნოა, მაგრამ ზოგადია. მისი პრაქტიკულად შემოწმება ძნელია. აი, პირადად თქვენ რომ შეხვედროდით ნონას და მისი ძალის რეალური შეფასება შეგეძლოთ...

— მე ერთხელ შევხვდი ნონას ბელგიაში, საერთაშორისო ტურნირში. მან ჩინებულად, თითქმის უშეცდომოდ ჩაატარა მთელი პარტია და მხოლოდ თამაშის მეხუთე საათზე უმნიშვნელო შეცდომის გამო წააგო.

— აი, ხომ ხედავთ, მაინც წააგო.

— ნუ დაგავიწყდებათ, მეგობარო, რომ ბობოცოვი, ასე თუ ისე, საერთაშორისო დიდოსტატია და ახლა აქ, მოსკოვში, მისი დამარცხება ვერ შეძლეს პეტროსიანმა, სპასკიმ, ტალმა, შტეინმა, სმისლოვმა და სხვებმა.

ერთ ხანს დავდუმდი, რადგან ვგრძნობდი, რომ ხალიჩაზე გამაკრეს ორივე ბეჭით.

— რას იტყვით ნონას მესამე მატჩზე მომავალ პრეტენდენტთან?

— მე და ჩემი მეუღლე, ოსტატი ანტონინა ივანოვა ვთვლით, რომ ნონას დამარცხებას ამჟამად ვერ შეძლებს არა მარტო მესამე მეტოქე, იქნება ეს კუშნირი, შტადლერი, ლაზარევიჩი თუ ზატულოვსკაია, არამედ ვერც ერთი მოჭადრაკე ქალი. იცოდეთ, ქალთა ჭადრაკში აბსოლუტური მონარქიაა გამეფებული და, მე მგონი, კარგა ხნით. მეოთხე მატჩი კი, შესაძლოა, უფრო ვიწრო უწყებრივ ვითარებაში ჩატარდეს.

— აჰა, მივხვდი, რასაც გულისხმობთ.

მანქანა სასტუმროსთან გაჩერდა. მილკო გადასასვლელად მოემზადა და ვიდრე მანქანის კარს მოხურავდა, ამ მოსალოდნელი მეოთხე მატჩის პროგნოზიც გააკეთა სახელდახელოდ.

რა თქვა ბობოცოვმა გაფრინდაშვილ — ? მატჩზე?

დარჩეს რაღაც საიდუმლო სპორტულ კომენტატორს.

არა, ნუ შეშინდებით, მხოლოდ სამი წლით. ბობოცოვის ამ პროგნოზს გამოვაქვეყნებთ ნ. გაფრინდაშვილის მეოთხე მატჩის წინ მსოფლიო პირველობაზე, თუ, რა თქმა უნდა, ეს მატჩი თავიდან ბოლომდე თბილისში ჩატარდება, როგორც ჩვენი შინაური საქმე.

კოტე მახარაძე.

ხვალინდელ დღეზე ფიქრით

„დინამოს“ აჭარის საოლქო საბჭო საქართველოს კოლექტივებში ერთ-ერთი მოწინავე ორგანიზაციაა. აქ ფიზკულტურელთა განკარგულებაშია კეთილმოწყობილი ბაზები, მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელები. იმრავლა მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული და გამაჯანსაღებელი ღონისძიებების, მაღალკვალიფიციური სპორტსმენების რიცხვმა, ამაღლდა საწვრთნელი და აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი. საკმარისია ითქვას, რომ სამი წლის მანძილზე აჭარის დინამოელთა არმიას შეემატა 12 სპორტის ოსტატი, 367 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი, 6 ათასზე მეტი მეორე, მესამე და მოზარდთა თანრიგების სპორტსმენი. მარტო შარშან მომზადდა 184 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და 200-ზე მეტი მსაჯი. ახლა საზოგადოებრივ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში ჩაბმულია 2 ათასზე მეტი ინსტრუქტორი და მწვრთნელი.

საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანებისთვის სისტემატურად ეწყობა შეჯიბრებები. და სპარტაკიადები გამარტივებული პროგრამით, ტურისტული ლაშქრობები, შეჯიბრებები ნადირობასა და თევზაობაში.

მაგრამ მარტო დღევანდელ დღეზე ფიქრით როდი შემოიფარგლება დინამოელთა საქმიანობა, — იზრდება ნორჩ დინამოელთა ორგანიზაცია. ამ კოლექტივში ახლა 1300-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი მეცადინეობს 12 სახეობის სექციებში.

კარგ ტრადიციად იქცა სკოლების ფიზკულტურულ კოლექტივებზე მზრუნველობა. დინამოელები შეფობენ ბათუმის 1-ელ, მე-3, მე-4, მე-5, მე-8, სოფ. ურეხის საშუალო სკოლებს. „დინამოს“ ინსტრუქტორები და მწვრთნელები მათი ხშირი სტუმრები არიან, ეხმარებიან ფიზკულტურული საქმის ორგანიზაციაში, შეჯიბრებების ჩატარებაში.

ამ და სპორტის სხვა აქტუალურ საკითხებზე ილაპარაკა თავის მოხსენებაში „დინამოს“ აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **გ. ურუშაძემ** დინამოელთა VI კონფერენციაზე.

კონფერენციაზე გულახდილად იქნა მხილებული მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებიც. როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულებმა: აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრმა **მ. ცინცქილაძემ**, „დინამოს“ საქართველოს საბჭოს პასუხისმგებელმა მდივანმა **მ. ამნიაშვილმა**, საზოგადოებრივმა მწვრთნელებმა და სპორტსმენებმა **ზ. ჩემოდანოვმა, ს. ნაზარიანცმა, მ. თელიამ, ი. ნანიშვილმა, ი. კიკვაძემ, ო. გლაზუნოვამ** და სხვებმა მკაცრად გააკრიტიკეს ტყვიის სროლის, მძლეოსნობის, ძალოსნობის, ცურვის სექციების მუშაობა.

ბევრი რამ ითქვა სპორტნაგებობათა ქსელის გაფართოების, კოლექტივებისა, და სექციების ინვენტარით მომარაგების პრობლემებზე, ბათუმის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ზოგიერთი წევრის უდისციპლინობაზე.

გაიმართა ახალარჩეული საბჭოს I პლენუმი. „დინამოს“ აჭარის საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს მ. ცინცქილაძე, მოადგილეებად — გ. ურუშაძე და ო. ფხაკაძე.

ო. მურვანიძე,
პ. მორჩილაძე.

ბათუმი.

[illegible]

◆ სოხუმი

„დინამოს“ სტადიონზე შედგა ფინალური მატჩი აფხაზეთის პირველობაზე ფეხბურთში მოსწავლეთა შორის. ერთმანეთს შეხვდნენ გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიონების ბავშვთა სპორტსკოლების გუნდები. გადამწყვეტი მატჩი მოიგეს გუდაუთელებმა — 1:0.

გ. პოლოსიანი.

◆ ვანი

დიდი ინტერესი გამოიწვია რაიონის სკოლების პირველობამ მძლეოსნობაში. შეჯიბრებაში 15 გუნდი ჩაება. I ადგილი დაიკავა ვანის კიროვის სახელობის საშუალო სკოლის კოლექტივმა, II — ამაღლების, III — ისრითის საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა.

ა. ნიკოლეიშვილი.

◆ ახმეტა

ორ კვირას გაგრძელდა რაიონის მოსწავლეთა სასკოლო პირველობა ფეხბურთში. გამარჯვება წილად ხვდათ ქისტაურის საშუალო სკოლის წარმომადგენლებს. მომდევნო ადგილებზე არიან ახმეტის 1-ლი და მე-2 სკოლების გუნდები.

შ. ნათელაური.

მასპინძლები ყველას სჯობდნენ

10 სასწავლებლის 622 სპორტსმენი მონაწილეობდა „შრომითი რეზერვების“ რუსთავის ზონალურ სპარტაკიადაში, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა.

სპარტაკიადისთვის კარგად მომზადებულან მასპინძლები, რომლებმაც უმეტეს სახეობებში საპრიზო ადგილები დაიკავეს და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. რუსთავის მე-3 სასწავლებლის გუნდებმა იმარჯვეს კალათბურთში, მძლეოსნობაში, ცურვაში, ფეხბურთში, სროლაში, სამჭიდსა და კრივში, ხოლო ველოსპორტში II ადგილზე გავიდნენ. მე-17 სასწავლებლის კოლექტივმა პირველი ადგილები დაისაკუთრა თავისუფალ ჭიდაობაში, აკრობატიკაში, მაგიდის ჩოგბურთში, ხოლო კლასიკურ ჭიდაობაში, მძლეოსნობაში, სროლასა და ტანვარჯიშში II ადგილები მოიპოვა. ველოსპორტში და ტანვარჯიშში უძლიერესნი იყვნენ მე-16 სასწავლებლის გუნდები, აკრობატიკაში, სამჭიდსა და კრივში კი II ადგილები დაიკავეს.

აღსანიშნავია სურამის მე-14 სასწავლებლის თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების კარგი მომზადება. კლასიკურ ჭიდაობაში მათ I, ხოლო თავისუფალში II საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს.

რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს, აგრეთვე, ენისლის მე-2 (ფრენბურთი), ვალეს 29-ე (მაგიდის ჩოგბურთი), ბორჯომის მე-7 (კალათბურთი და ფრენბურთი) და გარდაბნის 47-ე (ფეხბურთი) სასწავლებლების გუნდებმა.

კომპლექსურ ჩათვლაში I ადგილზე გავიდა რუსთავის მე-3 სასწავლებლის გუნდი, II — მე-17, III — მე-16 სასწავლებლის ნაკრები კოლექტივები.

ტ. ვაშარაძე.

რუსთავი.

დედოფალს უძღვნა

ნონა გაფრინდაშვილის სახახელო გამარჯვებას საჭადრაკო კომპოზიტორებიც გამოეხმაურნენ.

გთავაზობთ ამოცანას, რომელიც ცნობილმა ქართველმა პრობლემისტმა რ. თავარიანმა უძღვნა მსოფლიო ჩემპიონს.



შამათი ოთხ სვლაში.

ძველი ფოტოსურათები მოგვითხრობენ

თბილისის „მეტალისტი"



სპორტის მოყვარულნი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენენ წარსულის ამსახველი ფოტოსურათების მიმართ. ვთავაზობთ მათ ერთ ასეთ სურათსაც. მასზე ასახულია თბილისის „მეტალისტის" გუნდი, რომელიც 30-ან წლებში ერთ-ერთი უძლიერესი იყო ამიერკავკასიაში და წარმატებით ატარებდა საქალაქთაშორისო შეხვედრებს, კალენდარულ ტურნირებს.

ამ გუნდის ერთ-ერთი წევრი მ. ალექსეევი, რომელთანაც ინახება ეს სურათი, იგონებს, რომ იმ წლებში ძნელი იყო სპორტინვენტარის შეძენა, წვრთნისთვის არ იყო ხელსაყრელი პირობები, გუნდს არ გააჩნდა სპეციალური მწვრთნელი და მაინც „მეტალისტის" მოთამაშეები არ იშურებდნენ ენერგიას და მონდომებას, რათა კოლექტივი მუდამ ყოფილიყო მოწოდების სიმაღლეზე.

სურათზე (მარცხნიდან): მეკარეები ნ. ჯინჭარაძე და დ. ცომაია, გ. განნევსკი, მ. მესხი, გ. ქებაძე, გ. სიხარულიძე, მ. მაჩაბელი, მ. ალექსეევი, ა. მატიენკო, მ. იამშანოვი, მ. იაროცკი, პ. ბელაენკო, ა. გონელი.

ხ. ჯანიაშვილი.

ეს მისაბაძია

„ლოკომოტივის" ამიერკავკასიის საგზაო საბჭო რამდენიმე წელია ნაყოფიერად მუშაობს სასტენდო სროლის განვითარებისთვის. ამ საზოგადოების სპორტსმენები მაღალი შედეგებით გამოდიან როგორც საქალაქო, ისე რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. კოლექტივი კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც გუნდს (მწვრთნელი მ. კუროჩკინი) ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მსროლელები ზ. მაჩხანელი და ტ. ქღენტი შეემატნენ.

თბილისის ლოკომოტიველებმა ამას წინათ წარმატებით იასპარეზეს მოსკოვში, ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდურ პირველობაში. მათ II ადგილები დაიკავეს ადგილიდან და მრგვალ სტენდზე სროლაში, აგრეთვე ორივე სახეობის კომპლექსში (წინ მხოლოდ მასპინძლები გაუშვეს).

ადგილიდან მსროლელთა პირად პირველობაში ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი გახდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ზ. მაჩხანელი. 200 შესაძლებლიდან მან 186 სამიზნე დააზიანა და 4 ქულით მოუგო თანაგუნდელ ვ. ალავერდოვს. III ადგილზე გავიდა სპორტის ოსტატი ვ. ტოკარევი (ყაზახეთი) — 179.

დაძაბულად მიმდინარეობდა ასპარეზობა მრგვალ სტენდზე სროლაში. პირადი პირველობის მთავარი პრეტენდენტები იყვნენ სსრ კავშირის ნაკრების წევრები, მოსკოველები ბ. ბულბა, მ. პოკატილო და თბილისელი ტ. ქღენტი.

შეჯიბრების პირველ დღეს ბულბამ 97 ქულა მოაგროვა. იგი ქულით უსწრებდა ქღენტსა და პოკატილოს. მეორე დღეს მან 100-დან მხოლოდ ერთ სამიზნეს ააცდინა და საერთო ჯამში 196 დაზიანებული სამიზნით მოიპოვა ჩემპიონობა. ქღენტი გამარჯვებულს 2 ქულით ჩამორჩა, პოკატილო კი 192 ქულას დასჯერდა.

წარმატებით გამოვიდა თბილისის რკინიგზის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლე, 15 წლის თ. იმნაიშვილი, რომელმაც 100 შესაძლებლიდან 85 სამიზნე დააზიანა და პირველად შეასრულა პირველი თანრიგის ნორმატივი.

ჯ. მოჩონელიძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მოსკოვი.

შეხვედრა ოლიმპიელთან

საქართველოს ალკკ გულრიფშის რაიკომისა და ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის ინიციატივით მოეწყო შეხვედრა ოლიმპიურ ჩემპიონთან ვ. სანეევთან.

საღამო გახსნა რაიკომის პირველმა მდივანმა ე. სურმენელიანმა. მოხსენება — „საბჭოთა სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებში" გააკეთა რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ე. შანგუამ. შემდეგ სიტყვით გამოვიდა ვ. სანეევის მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. კერსელიანი, რომელმაც ილაპარაკა ოლიმპიური ჩემპიონის სპორტულ გზაზე.

ბოლოს დამსწრეთ ვ. სანეევმა უამბო იმ დიდ მუშაობაზე, რაც მწვრთნელთან ერთად გასწია მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების დროს.

შ. ჯალაღონია.
(ჩვენი კორ.).

გულრიფში.

თუ ასე გაგრძელდა...

თებერვალში თბილისში ჩატარდა საქართველოს პირადი პირველობა ძალოსნობაში. ამ შეჯიბრების ტექნიკური შედეგები მკითხველისთვის ცნობილია. დღეს გვინდა ვისაუბროთ სხვა საკითხზე, კერძოდ, გადავხედოთ, რა პერსპექტივები აქვს ძალოსნობას ჩვენს რესპუბლიკაში.

საქართველოს პირად პირველობაში, ბუნებრივია, უძლიერეს ძალოსნებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ასეც მოხდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთორ სპორტსმენს, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო ვერ გამოვიდნენ სარბიელზე. ამდენად, აღნიშნული შეჯიბრების შედეგები, შეიძლება ითქვას, ძალოსნობის მდგომარეობის ნათელ სურათს იძლევა სადღეისოდ.

პირდაპირ უნდა ვთქვათ, მდგომარეობა არასახარბიელოა. სპორტის ეს სახეობა, როგორც მასობრიობის მხრივ, ისე ტექნიკური მაჩვენებლებით, სავალალო მდგომარეობაშია საქართველოში. თუ ასე გაგრძელდა, მომავალში ალბათ შეჯიბრებების ჩატარებაც შეუძლებელი გახდება.

ზოგიშველიოთ ფაქტები: თვით ის ამბავი, რომ რესპუბლიკურ პირველობაში მხოლოდ 35 სპორტსმენი ჩაება, კომენტარებს არ საჭიროებს. ამას დავუმატოთ, რომ თბილისიდან შეჯიბრებაში მონაწილეობდა 14, ბათუმიდან — 7, ქუთაისიდან — 3, რუსთავიდან — 1, სოხუმიდან — 2, ცხინვალიდან და წალკიდან — 4-4. საერთოდ რაიონების წარმომადგენლები მეტისმეტად იშვიათად ჩანან ტურნირებში.

ამ მხრივ არც ამჯერად იყო კარგად საქმე. ფიცარნაგზე არ გამოსულან გორის, ფოთის, სამტრედიის, ჭიათურისა და სხვა ქალაქების წარმომადგენლები.

სასიამოვნოა, რომ რესპუბლიკურ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს წალკის რაიონის ძალოსნებმა, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მათი შედეგები მეტად მოკრძალებული იყო.

კიდევ უფრო დამაფიქრებელია მდგომარეობა წონით კატეგორიებში. უმჩატეს წონაში გამოდიოდა 3 ათლეტი, მჩატეში — 1, ქვემსუბუქში — 2, მსუბუქში — 7, ქვესაშუალოში — 9, საშუალოში — 3, ქვემძიმეში — 4, მძიმეში — 5 და ზემძიმეში — 1.

ტექნიკური შედეგებიც ყოველივე ზემოთქმულის შესაფერისი იყო. სარბიელზე ძირითადად მხოლოდ სპორტის ოსტატები, ოსტატობის კანდიდატები და პირველთანრიგოსნები გამოვიდნენ, მაგრამ სპორტის ოსტატის ნორმატივი მათგან შეასრულა მხოლოდ ოთხმა, ოსტატობის კანდიდატისა — ერთმა, პირველი თანრიგისა კი შვიდმა სპორტსმენმა. სხვათა შორის, ამ შეჯიბრებაში 8 კაცმა მიიღო ნოლი.

ბუნებრივია, ასეთი მოკრძალებული შედეგებით უფრო დიდი მასშტაბის შეჯიბრებებში წარმატების იმედი არ უნდა გვქონდეს. მხოლოდ შანიძის, ჯეჯელავასა და კაზანჯიანის ოსტატობა საქმეს არ უშველის.

მომავალი ცვლა ამ სახეობაში არ ჩანს, არა გვყავს საიმედო ახალგაზრდობა. რესპუბლიკის ძალოსანთა ძირითად ბირთვს ისევ ვეტერანები შეადგენენ, რომელთა ასაკი 30 წელს გადასცილდა.

რა შეიძლება იყოს ყოველივე ზემოაღნიშნულის მიზეზი? პირველ ყოვლისა, ნაკლები მასობრიობა. დღეს თბილისში, ფაქტიურად, 7 მწვრთნელი მუშაობს ამ სახეობაში. ესენი არიან: მ. ქღენტი, მ. ბასილაძე, შ. წერეთელი, დ. კაპცოვი, პ. გუმაშიანი, კ. ებრალიძე და უ. ჭირაქაძე. თანაც ეს ორი უკანასკნელი დიდი ხანი არ არის, რაც ამ მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ. აი, ეს მწვრთნელები მუშაობენ როგორც დამწყებ ძალოსნებთან, ისე რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრებთან.

მეორე მიზეზი, რაც ხელს უშლის ამ სახეობის განვითარებას, ბაზების უქონლობაა. რაიონებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თბილისშიც კი არა გვაქვს ისეთი დარბაზი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა საწვრთნელი მეცადინეობების ნორმალურად, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ჩატარება.

ვფიქრობთ, ძალოსნობის განვითარების საკითხი ამ სახეობის რესპუბლიკური ფედერაციის მსჯელობის საგანი გახდება და შესაბამისი პრაქტიკული ღონისძიებებიც დაისახება ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

შ. ბუაძე,
თბილისის ძალოსნობის ფედერაციის თავმჯდომარე.

ხვეული და ციცაბო...

რუსთავის მიდამოებში ჩატარდა საქართველოს ავტომოტო და სპორტულ-ტექნიკური კლუბების საგაზაფხულო ტურნირი მოტოკროსში, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა თბილისის, ქუთაისის, სამტრედიის, ცხაკაიას, სოხუმის, ბათუმის, რუსთავის, ზუგდიდის, გორის, სიღნაღის, ჭიათურის, ახალციხის, ახალქალაქის, მახარაძის, თელავის ავტომოტოკლუბებისა და თბილისის კიროვის სახელობის რაიონის, წყალტუბოს, გურჯაანის, გარდაბნის, დუშეთის სპორტულ-ტექნიკური კლუბების 80 სპორტსმენი.

პროგრამაში იყო 175 და 350 კბ სმ მოცულობის საგზატკეცილო სტანდარტული და სპორტული მოტოციკლებით რბოლა. მონაწილეებს კილომეტრნახევრიანი წრე სამი ცდით 30-ჯერ უნდა შემოევლოთ. ტრასა მეტად ხვეული და ციცაბო იყო.

დაძაბული ბრძოლების შემდეგ ავტომოტოკლუბების გუნდურ პირველობაში გაიმარჯვა თბილისის ნაკრებმა (ა. ჰასანოვი, თ. აბრამოვი, ა. სარიშვილი, ე. გოლოვანოვა). II ადგილზეა სოხუმის, III — რუსთავის კოლექტივი.

სპორტულ-ტექნიკური კლუბების ტურნირში იმარჯვა თბილისის კიროვის სახელობის რაიონის კოლექტივმა (ი. ტურაშვილი, ა. რაფაელოვი). II ადგილზე გავიდნენ წყალტუბოს, III — გარდაბნის რაიონის წარმომადგენლები.

350 კბ სმ-ის სპორტული მანქანებით რბოლაში პირადი საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ა. კლდიაშვილი, 2. ვ. ტკაჩენკო, 3. ვ. მანუკიანი (ყველა — თბილისის არმიელთა სპორტული კლუბი); „175-ანებით" — 1. ზ. შალიკიანი (თბილისის ასკ), 2. ს. სარიშვილი, 3. თ. აბრამოვი (ორივე — თბილისის ავტომოტოკლუბი); ამავე კლასის მოტოციკლებით ჭაბუკთა რბოლაში: 1. ვ. პროცენკო, 2. ა. ჰასანოვი, 3. ვ. გალუსტაშვილი (ყველა — თბილისის ავტომოტოკლუბი); ქალებში: 1. ე. გოლოვანოვა (თბილისის ავტომოტოკლუბი), 2. ი. ნიკურაძე (ქუთაისის ავტომოტოკლუბი), 3. ა. ტიულაევა (სოხუმის ავტომოტოკლუბი).

საგზაო სტანდარტული მოტოციკლებით შეჯიბრებაში თავი ისახელეს: „350-ანებით" — ა. რაფაელოვმა (კიროვის სახელობის რაიონი) და ს. ნალივაიკომ (წყალტუბო); „175-ანებით" — ი. ტურაშვილმა (კიროვის სახელობის რაიონი), ვ. ელიზაროვმა (გარდაბანი) და ო. გურეშიძემ (წყალტუბო).

ო. კიკნაველიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

სურათებზე: ტურნირში გამარჯვებული ზ. შალიკიანი (მარცხნივ) და ა. კლდიაშვილი; შეჯიბრების ტრასაზე.

ფოტო რ. გაბრიჭიძისა.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

გათამაშების ცხრილი

„გ" ჯგუფი

მდგომარეობა 18 მაისისთვის

ამიერკავკასიის ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მერცხალი" (მახარაძე)	4	3	1	0	5—0	7
„შუქურა" (კობულეთი)	4	3	1	0	5—1	7
„კახეთი" (თელავი)	3	2	1	0	6—0	5
„ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური)	4	2	1	1	6—2	5
„მეტალურგი" (რუსთავი)	4	1	3	0	3—0	5
„დაშკინი" (ზაქათალა)	4	2	1	1	6—4	5
„ლორი" (კიროვაკანი)	4	2	1	1	2—1	5
„ავტომობილისტი" (ერევანი)	4	2	1	1	4—4	5
„სპარტაკი" (ცხინვალი)	3	1	2	0	4—3	4
„სევანი" (ოქტემბერიანი)	4	1	2	1	2—2	4
„დილა" (გორი)	3	1	1	1	5—2	3
„კოლხეთი" (ფოთი)	3	0	3	0	1—1	3
„მაღაროელი" (ჭიათურა)	4	1	1	2	2—4	3
„ალაზანი" (გურჯაანი)	3	0	2	1	1—2	2
„ენგური" (ზუგდიდი)	3	1	0	2	2—5	2
„არაზი" (ნახიჭევანი)	4	0	2	2	1—4	2
„გურია" (ლანჩხუთი)	3	1	0	2	2—6	2
„ყარაბახი" (სტეფანაკერტი)	4	0	2	2	3—8	2
„დინამო" (სოხუმი)	3	0	1	2	2—4	1
„ლერნაგორცი" (კაფანი)	4	0	0	4	0—9	0

ციფრები და ფაქტები

უეფა-ს ტურნირის ირგვლივ

18-26 მაისს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაიმართება ფეხბურთის ასოციაციათა ევროპული კავშირის ტრადიციული, რიგით 22-ე არაოფიციალური პირველობა ფეხბურთში ჭაბუკთა ნაკრებ გუნდებს შორის. ამასთან დაკავშირებით მოგვყავს რამდენიმე საინტერესო ციფრსა და ფაქტს.

● ამ ტურნირს საფუძველი ჩაეყარა 1948 წელს ინგლისში და გამარჯვება მაშინ მასპინძლებს ხვდათ წილად. ინგლისელებმა შემდგომში კიდევ ორჯერ (1963-64 წ.წ.) გაიმეორეს ეს წარმატება. ორ-ორჯერ აქვს გამარჯვებულის წოდება მოპოვებული სსრ კავშირს (1966-67), ავსტრიას (1950 და 1957), ესპანეთს (1952 და 1954), უნგრეთს (1953 და 1960), იტალიას (1958 და 1966). ევროპის ჩემპიონთა რიცხვში იყვნენ, აგრეთვე, საფრანგეთი (1949 წ.), იუგოსლავია (1951), ბულგარეთი (1959), პორტუგალია (1961), რუმინეთი (1962), გდრ (1965) და ჩეხოსლოვაკია (1968). 1955-56 წლებში უეფა-ს ტურნირებში გამოვლენილ იქნენ მხოლოდ ქვეჯგუფებში გამარჯვებულნი.

● თუ კონტინენტის I ჩემპიონატში გამოდიოდა მხოლოდ 8 გუნდი, ახლა ფინალის საგზურისთვის იბრძოდა გუნდების სარეკორდო რაოდენობა — 25.

● ტურნირის 26 მატჩი ჩატარდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 18 ქალაქში.

● ბევრმა გამოჩენილმა ფეხბურთელმა თავისი გზა სწორედ უეფა-ს ტურნირში დაიწყო. თავის დროზე მასში მონაწილეობდნენ მსოფლიო ჩემპიონი მური (ინგლისი), მისი თანამემამულე გრივსი, იტალიელები კორსო და სალვადორე, უნგრელები ალბერტი და ფარკაში, ბულგარელები იაკიმოვი და კოტკოვი, საბჭოთა ფეხბურთელები ბანიშევსკი, ბიშოვეცი, გერშკოვიჩი, გ. ნოდია, დეგტიარევი და სხვ. 1967 წელს ფინალურ მატჩში სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წინაალმდეგ თამაშობდა 18 წლის ინგლისელი ფეხბურთელი კიდი, ხოლო ერთი წლის შემდეგ მან „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში მოიპოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი.

● ევროპის არაოფიციალური ჩემპიონატის პარალელურად ჩატარდება „უეფა-ს მცირე ტურნირი". ესაა გდრის ოლქების სასკოლო გუნდებს შორის გამარჯვებულთა შეხვედრა.

● ტომი დოჰერტი. ამ მწვრთნელის სახელი კარგადაა ცნობილი ფეხბურთის მოყვარულთათვის ინგლისშიც და სხვა ქვეყნებშიც. დოჰერტი ავარჯიშებდა ლონდონის „ჩელსის", ხოლო ამჟამად „ასტონ ვილას" ხელმძღვანელია. ინგლისის ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობაში ახლა გამოდის მისი შვილი მიხაელი.

● ოდესღაც მოსკოვის არმიელთა და დონეცკის „შახტიორის" კარს იცავდა ვიქტორ ჩანოვი, ამჟამად დონეცკის „ლოკომოტივის" მწვრთნელი. სსრ კავშირის ნაკრების გუნდის კარის დაცვა მოუწევს მის ვაჟს ვიაჩესლავს.

თამარ ხუგაშვილი — თბილისის ჩემპიონი



დამთავრდა თბილისის პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის. შეხვედრება დაძაბული და საინტერესო იყო. I ადგილი 5,5-5,5 ქულით ერთბაშად ექვსმა პირველთანრიგოსანმა გაიყო. თბილისის ჩემპიონის სახელი მიეკუთვნა თ. ხუგაშვილს, რადგან მის აქტივში ყველაზე მეტი (4) გამარჯვება იყო. II ადგილზე გავიდა ლ. კოროშინაძე. III საპრიზო ადგილი წილად ხვდა კ. პილცერს. IV ადგილზეა ნ. ბალაშვილი, V — გ. ბუცხრიკიძე, VI — თ. კაჭარავა.

5 ქულით VII ადგილი ხვდა პირველთანრიგოსან ნ. ჩიქობავას.

ამ შვიდმა მოჭადრაკემ საქართველოს ჩემპიონატში თამაშის უფლება მოიპოვა.

ე. უბილავა,
სპორტის ოსტატი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის ჩემპიონატში გამარჯვებულნი თ. ხუგაშვილი (მარჯვნივ) და ლ. კოროშინაძე.

ფოტო დ. ფერაძისა.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

უარს უარი მოსდევს

როგორც ცნობილია, აშშ-ს ფეხბურთის ფედერაციის ცდა — ჩაეტარებინა ეროვნული ჩემპიონატი — მარცხით დამთავრდა. დაიშალა კლუბები, სამშობლოს დაუბრუნდნენ ნაყიდი მოთამაშეები.

ჩემპიონატის ნაცვლად ფედერაციამ დაადგინა დიდი საერთაშორისო ტურნირის ჩატარება, რომლის დროსაც ცნობილი ევროპული კლუბები ამა თუ იმ ამერიკული ქალაქის სპორტულ ღირსებას დაიცავენ. ორგანიზატორებს მიაჩნიათ, რომ ეს მეთოდი ამერიკელ გულშემატკივრებს დააინტერესებს.

მაგრამ ტურნირის დრო მოახლოვდა (მაისის მეორე ნახევარი — ივნისი) და მსურველები არ ჩანან. ფედერაცია ევროპული კლუბებიდან უარს უარზე იღებს. ახლა ამერიკელები მათ შემცვლელებს ეძებენ.

გარინჩა გადარჩა

გამოჩენილი ბრაზილიელი ფეხბურთელი გარინჩა რიო-დე-ჟანეირო — სან-პაულუს ავტოსტრადაზე გადაურჩა სიკვდილს. მისმა მანქანამ ავარია განიცადა, ფეხბურთელმა მიიღო ხელისა და ფეხის ტრავმა, ხოლო მისმა ცოლმა, ცნობილმა საესტრადო მომღერალმა ელზა სოარესმა და 6 წლის გოგონამ — მსუბუქი ჭრილობები. მძიმედ დაშავდა მხოლოდ გარინჩას სიდედრი, რომელიც უგონო მდგომარეობაში წაიყვანეს ლაზარეთში.

ბრაზილიელი მიმომხილველები გარინჩას „ყველაზე უიღბლო ფეხბურთელად" თვლიან. გარინჩას სპორტული ფორმა შესამჩნევად გაუმჯობესდა, იგი კვლავ ითვლება ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ კანდიდატად და აი, ტრავმა...

ჭადრაკი

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

სსრ კავშირის პირველობა
18 მაისი

II ჯგუფი

IV ქვეჯგუფი

„ლოკომოტივი" (თბილისი)
— „სპარტაკი" (ბრესტი)
დასაწყისი 18 ს. 30 წ.

დუბლიორი

ჩვენ ხშირად განცვიფრებული ვართ ფილმების გმირების სახიფათო თავგადასავლებით, გვიკვირს, როცა ისინი დიდი სიმაღლიდან ან გაქანებული მატარებლიდან ხტებიან და ა. შ.

ჩვეულებრივ, ამგვარ სცენებს ტრიუკებად ვთვლით და არ გვჯერა, რომ ადამიანს შეუძლია ეს გააკეთოს. მაგრამ, მიუხედავად თანამედროვე ტექნიკისა, არის სცენები, რომელთა გადაღებაც შეუძლებელია დუბლიორის დაუხმარებლად. უკვე რამდენიმე წელია პოლონურ ფილმებში ამ დუბლიორის როლს ასრულებს ნავისტრი კრიშტოფ ფუსი. ამ კაცმა აირჩია პროფესია, რომელიც მანამდე პოლონეთში არ არსებობდა, მაგრამ დაეუფლა მას, რადგან კარგად იცნობდა სპორტის სხვადასხვა სახეობას და სისტემატური წვრთნა შეეძლო. ახლა ფუსი 100 მეტრს 11 წამში გარბის, ჩინებული ცხენოსანია, ცურავს ყველა სტილით, მონაწილეობს პროფესიულ ნიჩბოსნობაში, ვარჯიშობს აკრობატიკაში, სწევს 180-კილოგრამიან შტანგას. მას შეუძლია გაქანებული ცხენიდან გადმოხტეს და მყისვე ფეხზე დადგეს, შეუძლია გადმოეშვას დიდი სისწრაფით მიმავალი მატარებლიდან, ხტება რამდენიმე სართულის სიმაღლიდან.

— ჩემს პროფესიაში, — ამბობს იგი, — გარკვეული რისკი, რასაკვირველია, საჭიროა, მაგრამ ამას ხომ სპორტის ზოგიერთი სახეობაც მოითხოვს.

სტუდენტი რომ იყო, ფუსი ბევრ ფილმში გადაიღეს, მაგრამ ყველაზე ძნელი ამოცანა მისთვის იყო ზ. ციბულსკის დუბლირება ფილმში „სრული სვლით".

— პირველ ხანებში ძალიან გამიჭირდა, — ამბობს დუბლიორი. — ერთხელ დიდი სიმაღლიდან ტომარასავით უნდა ჩავშვებულიყავი ზღვაში. მეშინოდა. ახლა შევეჩვიე. დღეს უკვე შემიძლია თავით გადმოვხტე ავტომანქანიდან, რომელიც საათში 60 კმ სისწრაფით მიჰქრის. ამ დროს არავითარი საგანგებო დაცვა არ მჭირდება. ამას ვაკეთებდი ფილმში „მკვლელი კვალს ტოვებს". შემიძლია წყალში ჩავხტე 25 მეტრის სიმაღლიდან და ა. შ. ყველაფერი დამოკიდებულია მომზადებაზე და ვარდნის უნარზე, ამის სწავლა კი შეიძლება. ფილმებში მე შემიცვლია ციბულსკი, ვოლეიკი, ლაპიცკი, კუჩინსკი, დმოხოვსკი და სხვები. მე მეკუთვნის კლოსის ყველა გმირობა.

კ. ფუსი 28 წლისაა. დღეს იგი ხელმძღვანელობს და წვრთნის ახალგაზრდების ჯგუფს, რომლებსაც სურთ მის გზას დაადგნენ. მათ შორის არის რამდენიმე სტუდენტი, ერთი მოკრივე, ინჟინერი, მუსიკათმცოდნე, ერთი ქალი.

ჟურნალი „სპორტოვეცი"
(ვარშავა).

პოლონურიდან თარგმნა
ლ. ზილბერვასერმა.

• • •

ა მ ს უ რ ა თ ე ბ ზ ე აშკარად ჩანს, რომ კ. ფუსი მართლაც შეჩვეულა თავის საშიშ პროფესიას.

თბილისის სპორტული აფიშა

ფარიკაობა. სპორტის სასახლე. საერთაშორისო შეხვედრა. 18 მაისი. საქართველო (ნაკრები) — გდრ (ნაკრები). დასაწყისი 10 ს.

კალათბურთი. სპორტის სასახლე. სსრ კავშირის ჩემპიონატი. 18 მაისი. „ბურევესტნიკი" (თბილისი) — ცსკა. დასაწყისი 20 ს.

კლდეზე ცოცვა. ბოტანიკური ბაღი. 18 მაისი. თბილისის პირად-გუნდური პირველობა. დასაწყისი 10 ს.

ფეხბურთი. არმიელთა სპორტკლუბის სტადიონი. თბილისის პირველობა (I ჯგუფი). 18 მაისი. ავტოსარემონტო ქარხანა — № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა. დასაწყისი 10 ს.

წყალბურთის რესპუბლიკური და თბილისის ფედერაციები, თბილისის „დინამოს" წყალბურთელთა გუნდი იუწყებიან

აპოლონ ბახვას ძე ოჩიგავას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 03267